# კვლევა სოციალური მუშაობის სამუშაო ძალის შესახებ

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
2022

# შინაარსი:

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია ..... 4
საგანმანათლებლო დაწესებულებები ..... 7
სოციალური მუშაობის კურსდამთავრებულები ..... 7
სოციალური მუშაობის პროგრამის აქტიური სტუდენტები ..... 11
სოციალური მუშაობის გაცვლითი პროგრამები ..... 14
სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირება ..... 15
საჯარო სექტორი ..... 17
სოციალური მუშაკების რაოდენობა საჯარო უწყებების მიხედვით ..... 17
სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ..... 18
სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი ..... 19
სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტო ..... 19
..... 21
სსიპ ,,აღსრულების ეროვნული ბიურო ..... 21
სოციალურ მუშაკთა სამუშაო პოზიციები ..... 22
სოციალურ მუშაკთა განათლება/კვალიფიკაცია ..... 24
სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ..... 24
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური ..... 26
სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო ..... 28
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო ..... 30
სოციალური მუშაკების დაქირავების ტიპი ..... 31
სოციალური მუშაკების დასაქმების საშუალო ხანგრძლივობა ..... 32
სოციალური მუშაკების დაწინაურების გამოცდილება ..... 33
მუნიციპალიტეტები ..... 34
მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაცია ..... 39
მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სოციალური მუშაკების დაქირავების ტიპი ..... 40

მუნიციპალიტეტში დასაქმებულ სოციალური მუშაკების დასაქმების ხანგრძლივობა ....... 41
მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სოციალური მუშაკების დაწინაურების გამოცდილება ........ 41
მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობა ......... 42
სამედიცინო დაწესებულებები ........ 42
სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა განყოფილებების მიხედვით ........ 49
სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების განათლება, კვალიფიკაცია ........ 50
სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების დაქირავების ტიპი ........ 53
სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების სამუშაო განაკვეთი ........ 53
სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების დასაქმების ხანგრძლივობა ........ 54
სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობა ........ 55
არასამთავრობო ორგანიზაციები ........ 56
არასამთავრობო ორგანიზაციაში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა რეგიონების და რაიონების მიხედვით ........ 61
არასამთავრობო ორგანიზაციაში დასაქმებული სოციალური მუშაკების სამუშაო პოზიციები ........ 66
არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული სოციალური მუშაკების განათლება/კვალიფიკაცია ........ 67
არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული სოციალური მუშაკების სამუშაო განაკვეთი ........ 69
არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული სოციალური მუშაკების დასაქმების საშუალო ხანგრძლივობა ........ 70
არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული სოციალური მუშაკების დაწინაურების გამოცდილება ........ 71
კვლევის ძირითადი მიგნებები ........ 72
განათლება ........ 72
დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა ........ 72
დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა რაიონების მიხედვით ........ 72
დასაქმებული სოციალური მუშაკების პოზიციები ........ 73

დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა განათლება ........ 74
სოციალური მუშაკების დაქირავების ტიპი ........ 75
სოციალურ მუშაკთა დასაქმების საშუალო ხანგრძლივობა ........ 75
სოციალურ მუშაკთა დაწინაურების გამოცდილება ........ 76
მონაცემები ........ 76

**ანგარიში მოამზადებულია საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის გუნდის მიერ:**

შორენა საძაგლიშვილი, სოციალური მუშაობის მაგისტრი (MSW), სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი (Ph.D).
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავჯდომარე

ქეთევან გიგინეიშვილი, სოციალური მუშაობის მაგისტრი (MSW), საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დირექტორი

ქეთევან ლეკიშვილი, სოციალური მუშაობის მაგისტრი (MSW), საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ასოციაციის წევრებთან ურთიერთობის კოორდინატორი

რედაქტორი: ირმა ზებერაშვილი, სოციალური მუშაობის მაგისტრი (MSW).

## წინასიტყვაობა

სოციალური მუშაობის პროფესია საქართველოში უკვე 20 წელზე მეტს ითვლის. ცხადია, ახალგაზრდა პროფესიისთვის ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს პროფესიული კადრების მომზადება, მათი კარიერული ზრდის და წინსვლის ხელშეწყობა. ამ მიზნით მნიშვნელოვანია პერიოდული კვლევების ჩატარება პროფესიის განვითარების არსებული ტენდენციების შესაფასებლად და დროული ღონისძიებების დასაგეგმად. კერძოდ, კრიტიკულია იმის ცოდნა, თუ რა მიმართულებით არის პროფესიის განვითარების საჭიროება ან/და კადრების მოზიდვა, სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამების გაძლიერება და სხვა.

შესაბამისად, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია პერიოდულად აგროვებს მონაცემებს სოციალური მუშაობის მიმდინარე განვითარების შესახებ საქართველოში. წინამდებარე ანგარიშიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. კვლევაში აისახა თანამედროვე გამოწვევები. კერძოდ, ის, რომ თანდათან კლებულობს სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამებით დაინტერესება სერტიფიცირების ფონზე. გამოიკვეთა, რომ ჯანდაცვის სფეროში არ არის საკმარისი პროფესიული კადრები. ასევე, ის, რომ მუნიციპალიტეტებში დასაქმებულთა უმრავლესობა არ ფლობს აკადემიურ განათლებას სოციალურ მუშაობაში და ა.შ.

ვფიქრობ, აღნიშნული ანგარიში დააინტერესებს სახელმწიფო სტრუქტურის და არასამთავრობო სფეროს წარმოამადგენლებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარებით საქართველოში.

შ. საძაგლიშვილი

საქართველოს სოციალურ მუშკთა ასოციაციის თავჯდომარე

27 სექტემბერი, 2022 წელი

## კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ, 2022 წლის თებერვალ-მაისში, საქართველოს მასშტაბით ჩაატარა კვლევა სოციალური მუშაობის სამუშაო ძალის შესახებ. კვლევის მიზანი იყო სოციალური მუშაკების განათლების, დასაქმების არეალის, დასაქმებულთა რაოდენობის, კვალიფიკაციის, სამუშაო პოზიციების, დაწინაურების გამოცდილებისა და სხვა გამოცდილებების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

კვლევის ფარგლებში ინფორმაციის მოძიება მოხდა როგორც სამთავრობო და არასამთავრობო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. კვლევაში არსებული მონაცემები ეყრდნობა სოციალურ მუშაკთა საგანმანათლებლო და დასაქმების ადგილებიდან წერილობით გამოთხოვილ ინფორმაციას და ამასთან, დამატებით სატელეფონო გამოკითხვას.

აკადემიური დაწესებულებებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, წმინდა ანდრიას ქართულმა უნივერსიტეტმა. ასევე ოფიციალური ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან.

საჯარო უწყებებიდან მონაცემების გამოთხოვა განხორციელდა სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან, სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრიდან, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროდან, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოდან, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და 69 მუნიციპალიტეტიდან, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების 5 მუნიციპალიტეტიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე კვლევა არ მოიცავს სსიპ სპეციალური პენიტენციური დაწესებულების მონაცემებს, რადგან მათი მხრიდან ვერ მოხდა მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება და მოწოდება.

სამედიცინო დაწესებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოწოდებული იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან. მონაცემთა გადამოწმება და დაზუსტება განახორციელა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ სატელეფონო გამოკითხვის მეშვეობით. სულ სატელეფონო გამოკითხვა განხორციელდა 240 სამედიცინო დაწესებულებაში.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა მთელი ქვეყნის მასშტაბით 183 ორგანიზაციიდან.

საკვლევი საკითხების შესახებ ქვემოთ დეტალურადაა წარმოდგენილი მონაცემები როგორც აკადემიური სივრციდან, ასევე დასაქმების ადგილებიდან.

## საგანმანათლებლო დაწესებულებები

### სოციალური მუშაობის კურსდამთავრებულები

დღეისათვის საქართველოს ორ წამყვან უნივერსიტეტში შესაძლებელი სოციალური მუშაობის  პროფესიის შესწავლა და აკადემიური ხარისხის მინიჭება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებენ სოციალური მუშაობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2006 წლიდან სწავლების სამივე საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ახორციელებს მიღებას, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე 2008 წლიდან. ამასთან, 2014 წლიდან 2017 წლამდე საბაკალავრო საფეხურზე მიღება ხორციელდებოდა წმ. ანდრიას ქართულ უნივერსიტეტში.

2022 წლის ივლისის თვის მონაცემებით, რომელიც ეყრდნობა უნივერსიტეტებიდან გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციას, საქართველოში 417 სოციალური მუშაკს აქვს მინიჭებული ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში, მაგისტრის ხარისხი მიენიჭა 255 სტუდენტს, დოქტორის ხარისხი კი 2 სოციალურ მუშაკს.




2006 წლიდან, მას შემდეგ რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა აკადემიური პროგრამები, 382 სტუდენტს მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში, 101-ს მაგისტრის ხარისხი, 2-ს სტუდენტს კი დოქტორის ხარისხი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე (დიაგრამა #1, დიაგრამა #2, დიაგრამა #3) წარმოდგენილია წლების მიხედვით გადანაწილება, თუ რამდენ სტუდენტს მიენიჭა

ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

*დიაგრამა #1 - სოციალური მუშაკების რაოდენობა, რომლებმაც დაამთავრეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის მიმართულება გახსნის დღიდან 2021 წლის ჩათვლით და მიენიჭათ სოციალური მუშაობის* ***ბაკალავრის ხარისხი*** *(წლების მიხედვით):*




*დიაგრამა #2 - სოციალური მუშაკების რაოდენობა, რომლებმაც დაამთავრეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის მიმართულება გახსნის დღიდან 2021 წლის ჩათვლით და მიენიჭათ სოციალური მუშაობის* ***მაგისტრის ხარისხი*** *(წლების მიხედვით):*



*დიაგრამა #3 - სოციალური მუშაკების რაოდენობა, რომლებმაც დაამთავრეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის მიმართულება გახსნის დღიდან 2021 წლის ჩათვლით და მიენიჭათ სოციალური მუშაობის* ***დოქტორის ხარისხი*** *(წლების მიხედვით):*




დღეისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაძლებელია სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სწავლება (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო საფეხურზე არ ხორციელდება სტუდენტების მიღება). სამაგისტრო პროგრამის ამოქმედებიდან, კერძოდ 2008 წლიდან, სულ 154 სტუდენტს/კურსდამთავრებულს მიენიჭა მაგისტრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში. ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 წელს მაგისტრატურის ორმა კურსმა შეძლო სწავლის დასრულება გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში.

იმის მიუხედავად, რომ ამჟამადაც ხორციელდება სადოქტორო პროგრამა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამ ეტაპისთვის უნივერსიტეტს არ ჰყავს არც ერთი კურსდამთავრებული, რომელსაც მინიჭებული აქვს დოქტორის ხარისხი.

*დიაგრამა #4 - სოციალური მუშაკების რაოდენობა, რომლებმაც დაამთავრეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის მიმართულება გახსნის დღიდან 2021 წლის ჩათვლით და მიენიჭათ სოციალური მუშაობის* ***მაგისტრის ხარისხი*** *(წლების მიხედვით):*




წმინდა ანდრიას ქართული უნივერსიტეტი 2014 წლიდან 2017 წლამდე ახორციელებდა სტუდენტების მიღებას სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამაზე. სწავლების ფარგლებში, 4 წლის განმავლობაში, 35 სტუდენტმა დაასრულა სწავლა და მიენიჭათ ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში. რაც შეეხება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, უნივერსიტეტს ამ მიმართულებით არ ჰქონია სასწავლო პროგრამა, შესაბამისად, არ ჰყავთ კურსდამთავრებულები.

*დიაგრამა #5 - სოციალური მუშაკების რაოდენობა, რომლებმაც დაამთავრეს წმინდა ანდრიას ქართულ უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის მიმართულება გახსნის დღიდან 2021 წლის ჩათვლით და მიენიჭათ სოციალური მუშაობის* ***ბაკალავრის ხარისხი*** *(წლების მიხედვით):*



## სოციალური მუშაობის პროგრამის აქტიური სტუდენტები

სამივე უნივერსიტეტის მონაცემებზე დაყრდნობით ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია იმ სტუდენტების შესახებ, რომლებიც ამჟამად აგრძელებენ სწავლას საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე. აგრეთვე მონაცემები, თუ რამდენ სტუდენტს მიეცა სწავლის და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა ამა თუ იმ გაცვლითი სასწავლო პროგრამის მეშვეობით.

**საბაკალავრო საფეხური:** 2022 წლის თებერვლის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 224 სტუდენტი ირიცხება საბაკალავრო საფეხურზე.

**სამაგისტრო საფეხური:** ორივე უნივერსიტეტის მონაცემებით, ჯამურად, სამაგისტრო საფეხურზე ირიცხება და სწავლას განაგრძობს, 35 (8 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 27 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) სტუდენტი.

**სადოქტორო საფეხური:** სადოქტორო საფეხურზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯამურად იმყოფება 7 სტუდენტი. აქედან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში იმყოფება 2 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი სტუდენტი, ერთს კი შეჩერებული აქვს სტატუსი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1 სტუდენტს აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსი და 3-ს კი შეჩერებული. ქვემოთ დიაგრამებზე (დიაგრამა #6, დიაგრამა #7, დიაგრამა #8) მოცემულია სტუდენტების გადანაწილება კურსების და სასწავლო სემესტრების მიხედვით.

*დიაგრამა #6 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური **მუშაობის საბაკალავრო პროგრამაზე სტატუსის მქონე სტუდენტების** გადანაწილება კურსების მიხედვით:*




*დიაგრამა #7 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში* ***სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამაზე*** *სტუდენტების გადანაწილება კურსების მიხედვით:*




*დიაგრამა #8 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის* ***სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების*** *გადანაწილება სემესტრების მიხედვით:*




*დიაგრამა #9 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების გადანაწილება:*



## სოციალური მუშაობის გაცვლითი პროგრამები

მიმართულების გახსნის დღიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის 5-მა კურსდამთავრებულმა სწავლა განაგრძო სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში. 2022 წლის თებერვლის თვის მონაცემებით, არცერთი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი არ იღებს მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში. რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს, ფაკულტეტის გახსნის დღიდან დღემდე, გაცლით პროგრამებში მონაწილეობდა 3 სტუდენტი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, 16-მა კურსდამთავრებულმა შეძლო სწავლების პროცესში მონაწილეობა მიეღო ერასმუს + ის და ევრაზიის პროექტის ფარგლებში გაცვლით პროგრამებში. ერასმუს + ის ფარგლებში, 11-მა სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა ერთ სემესტრიანი სასწავლო პროგრამა გაიარა ჩეხეთის, პალაცკის უნივერსიტეტში. ევრაზიის გრანტის ფარგლებში 4 სტუდენტი იმყოფებოდა ნორვეგიის, რუდოლფ შტაინერის უნივერსიტეტში და 1 კი სომხეთში.

ფაკულტეტის გახსნის დღიდან 2021 წლის ჩათვლით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის 6-მა მაგისტრატურის კურსდამთავრებულმა, სადოქტორო საფეხურზე სწავლა განაგრძო სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში. ამჟამად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის არცერთი დოქტორანტი სტუდენტი არ გადის სწავლებას სხვა ქვეყნის უნივერსიტეტში სოციალური მუშაობის მიმართულებით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2 დოქტორანტი სტუდენტი, შემოდგომის სემესტრში, სწავლას განაგრძობს ჩეხეთის, პალაცკის უნივერსიტეტში, სოციალური მუშაობის მიმართულებით.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მუშაობის სტუდენტების მიღების რაოდენობა (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) განსაზღვრულია მხოლოდ სამაგისტრო პროგრამაზე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაშვებია 25 სტუდენტის მიღება, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 15 სტუდენტის მიღება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე მისაღები სტუდენტების კვოტა განსაზღვრული იყო მხოლოდ 2 წლის განმავლობაში, როდესაც სოციალურ მუშობაზე ჩაირიცხა 40 სტუდენტი. ხოლო დღეისათვის ჩარიცხვა ხდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და სტუდენტები შემდეგ ირჩევენ სპეციალობას. ასევე, სადოქტორო საფეხურზე კვოტა არ არის დადგენილი, მისაღები ადგილების რაოდენობა ყოველ წელს სხვადასხვაა. მსგავსი მდგომარეობაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც სადოქტორო საფეხურზე, სადაც არ არის კვოტა განსაზღვრული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტთა ბოლო მიღება მოხდა 2021 წელს და მისაღები სტუდენტების რაოდენობა შეადგენდა ორს.

## სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირება

გარდა საუნივერსიტეტო სივრცისა, სადაც შესაძლებელია სოციალური მუშაობის პროფესიის დაუფლება და კვალიფიკაციის ამაღლება, 2018 წელს მიღებული კანონის „სოციალური მუშაობის შესახებ“ საფუძველზე საქართველოს მასშტაბით 2019-2020 წლებში განხორციელდა სასერთიფიკატო კურსები სოციალურ მუშაობაში, რომელსაც სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ,,ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში 2021 წელს ახორციელებდა. პროგრამის სახელწოდება იყო ,,სოციალურ მუშაობის სერტიფიცირების პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში სერტიფიცირების კურსი გაიარეს საჯარო უწყების და არასამთავრობო ორგანიზაციების იმ სოციალურმა მუშაკებმა, რომლებსაც არ აქვთ მიღებული აკადემიური განათლება სოციალურ მუშაობაში, თუმცა მუშაობდნენ სოციალური მუშაკის პოზიციაზე.

2022 წლის თებერვლის თვის მონაცემებით, მთელი საქართველოს მასშტაბით 649 (610 - საჯარო სექტორიდან, 39 - არასამთავრობო ორგანიზაციიდან) პირმა გაიარა სერტიფიცირების კურსი სოციალურ მუშაობაში. ქვემოთ წარმოდგენილია სოციალური მუშაკების გადანაწილება, რომლებმაც გაიარეს სერტიფიცირების პროგრამა საჯარო სექტორში. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი #1.

ცხრილი #1 - სერტიფიცირებული სოციალური მუშაკების რაოდენობა წლების და საჯარო უწყებების მიხედვით:

| საჯარო უწყება | წელი | გადამზადებული სოციალური მუშაკების რაოდენობა |
|---|---|---|
| სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო | 2019 | 45 |
| | 2021 | 120 |
| ჯანდაცვის სფეროს (სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული) სოციალურ მუშაკთა რაოდენობა | 2020 | 60 |
| | 2021 | 80 |
| საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი, მუნიციპალიტეტების სოციალურ მუშაკთა რაოდენობა | 2020 | 192 – 30-კრედიტიანი ,,სოციალური მუშაობის სერტიფიცირების პროგრამა“ |
| | 2021 | 143 – 45-კრედიტიანი ,,სოციალურ მუშაობის სერტიფიცირების პროგრამა“ |
| იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური | 2021 | 20 |

| | | |
|---|---|---|
| არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო | 2021 | 6 |
| თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი | 2021 | 4 |
| საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი | 2021 | 5 |
| ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ეროვნული ცენტრი | 2021 | 35 |
| სულ | | 610 |

ამასთან, 2021 წელს სოციალური მუშაობის სერტიფიცირების პროგრამა გაიარა 39 სოციალურმა მუშაკმა შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან:

- World Vision საქართველოს რეგიონალური ადგილობრივი ორგანიზაცია: ""იმერეთის განვითარების ცენტრი";
- საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი;
- ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი;
- ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის მცხეთა-მთიანეთის კომიტეტი;
- ხესედი ელიაჰუ;
- საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა;
- ,,ნუგეშის სახლი".

რაც შეეხება სერტიფიცირების კურსის გავლის შემდგომ მინიჭებულ ხარისხს, იმ პირებს, რომლებმაც გაიარეს 45-კრედიტიანი სასერთიფიკატო კურსი, მიენიჭათ „სერტიფიცირებული სოციალური მუშაკის“ კვალიფიკაცია, ხოლო მათ, ვინც გაიარა 30-კრედიტიანი პროგრამა, მიენიჭა კვალიფიკაცია -,,თვითმმართველობის სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი’’. 30-კრედიტიანი სასერთიფიკატო პროგრამა გაიარეს მხოლოდ თვითმმართველობის სოციალურმა მუშაკებმა.

აღნიშნულ სერთიფიცირების პროგრამაში სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობდა ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებთან, რომლებიც თავის მხრივ პასუხისმგებელნი იყვნენ სწავლების პროცესზე:

- ა(ა)იპ „World Vision International“ ფილიალი საქართველოში
- ა( ა) იპ ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა
- ა( ა) იპ დემოკრატიის განვითარების სააგენტო.

# საჯარო სექტორი

## სოციალური მუშაკების რაოდენობა საჯარო უწყებების მიხედვით

სოციალური მუშაკები საქართველოს მასშტაბით დასაქმებულნი არიან არაერთ საჯარო უწყებაში. 2022 წლის მაისის თვის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით დასაქმებულია 390 სოციალური მუშაკი სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში.

*ცხრილი #2 - დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა საჯარო უწყებებში:*

| | |
|---|---|
| სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო | 272 |
| სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ | 55 |
| სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი | 58 |
| სსიპ ,,აღსრულების ეროვნულ ბიურო'' | 5 |
| სპეციალური პენიტენციური სამსახური | მიუხედავად იმისა, რომ 4 წერილი იქნა აღნიშნულ ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით გაგზავნილი და არაერთი სატელეფონო ზარი განხორციელდა, უწყების მიერ ამ დრომდე არაა შესაბამისი ინფორმაცია მოწოდებული |
| დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო | 0 |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | 0 |

| | |
|---|---|
| სულ | 390 |

## სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო

დღეისათვის სოციალური მუშაკების ყველაზე დიდი დამსაქმებელია სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, სადაც დასაქმებულია 272 სოციალური მუშაკი. სოციალური მუშაკები დასაქმებულები არიან - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ცენტრალური აპარატის მონიტორინგისა და პროექტების დიზაინის დეპარტამენტის პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოსა და სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში. დასაქმებული სოციალური მუშაკების ყველაზე დიდი რაოდენობა (73) დასაქმებულია თბილისში, ხოლო 199 სოციალურ მუშაკი გადანაწილებულია სხვადასხვა რეგიონში. ქვემოთ წარმოდგენილია სოციალური მუშაკების გადანაწილება რეგიონების მიხედვით. რაიონების შესახებ გადანაწილება იხილეთ დანართ #1.

*დიაგრამა #10 - სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით:*



## სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი

სოციალური მუშაკების რიგით მეორე დამსაქმებელი რაოდენობის მიხედვით არის სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი (სამმართველო), სადაც დასაქმებულია 54 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი, 1 სოციალური მუშაობის მენეჯერი და 3 პროფესიული ზედამხედველი, სულ 58. დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებიდან 27 დასაქმებულია თბილისში, ხოლო დანარჩენი 27 სოციალური მუშაკი გადანაწილებულია საქართველოს მასშტაბით. დიაგრამა #11-ში მოცემულია პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების გადანაწილება რეგიონების მიხედვით. რაიონების შესახებ გადანაწილება იხილეთ დანართი #3.

*დიაგრამა #11 - სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის (სამმართველოს) პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით:*




## სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტო

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“ სულ დასაქმებულია 55 სოციალური მუშაკი შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

- მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის დეპარტამენტი - 7
- მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის სამმართველო - 37
- ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის სამმართველო - 4
- არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი - 7

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის დეპარტამენტში მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულია 7 სოციალური მუშაკი, ხოლო პრაქტიკოს სოციალურ მუშაკად დასაქმებულია 48. ხოლო არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში დასაქმებულია 6 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი და ერთი ზედამხედველი. ქვემოთ (დიაგრამა 12) წარმოდგენილია სოციალური მუშაკების გადანაწილება რეგიონების მიხედვით. რაიონების შესახებ გადანაწილება იხილეთ დანართი #2.

*დიაგრამა #12 - სსიპ - „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოში“, სოციალურ მუშაკთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით:*




## სსიპ ,,აღსრულების ეროვნული ბიურო

სსიპ ,,აღსრულების ეროვნულ ბიუროში'' 5 სოციალური მუშაკია დასაქმებული მხარეთა ინტერესების დაცვის სამსახურში. ამ ეტაპზე 5 სოციალური მუშაკის სამუშაო ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი.

*დიაგრამა #13 - სსიპ ,,აღსრულების ეროვნულ ბიუროს სოციალურ მუშაკთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით:*



## სოციალურ მუშაკთა სამუშაო პოზიციები

**სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში სოციალური მუშაკები დასაქმებულნი არიან შემდეგ პოზიციებზე:**

- პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს უფროსი - 1
- მთავარი სპეციალისტი/სოციალური მუშაკი - 8
- თბილისის საქალაქო ცენტრის უფროსი - 1
- რეგიონული ცენტრის უფროსი - 5
- უფროსი სოციალური მუშაკი/განყოფილების უფროსი - 12
- უფროსი სოციალური მუშაკი/ განყოფილების უფროსის მოადგილე - 2
- უფროსი სოციალური მუშაკი/უფროსი - 5
- უფროსი სოციალური მუშაკი - 3
- შემთხვევის მენეჯერი - 1
- პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი - 234

ცხრილ #3-ში წარმოდგენილია რეგიონების მიხედვით დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების და მენეჯერულ პოზიციებზე მყოფი სოციალური მუშაკების რაოდენობა.

*ცხრილი #3 - სოციალური მუშაკების გადანაწილება პოზიციების და რეგიონების მიხედვით:*

| რეგიონი | პოზიცია | რაოდენობა |
|---|---|---|
| **თბილისი** | სამმართველოს უფროსი | 1 |
| | მთავარი სპეციალისტი/სოციალური მუშაკი | 8 |
| | საქალაქო ცენტრის უფროსი | 1 |
| | უფროსი სოციალური მუშაკი/განყოფილების უფროსი | 2 |
| | უფროსი სოციალური მუშაკი/ განყოფილების უფროსის მოადგილე | 2 |
| | პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი | 59 |
| **სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრი** | რეგიონული ცენტრის უფროსი | 1 |
| | უფროსი სოციალური მუშაკი/განყოფილების უფროსი | 2 |
| | უფროსი სოციალური მუშაკი | 1 |
| | პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი | 34 |
| **სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი** | უფროსი სოციალური მუშაკი/ უფროსი | 1 |
| | პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი | 4 |
| **სააგენტოს გურიის** | უფროსი სოციალური მუშაკი/ უფროსი | 1 |

| | | |
|---|---|---|
| **რეგიონული ცენტრი** | პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი | 6 |
| **სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრი** | რეგიონული ცენტრის უფროსი | 1 |
| | უფროსი სოციალური მუშაკი/განყოფილების უფროსი | 2 |
| | პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი | 23 |
| **სააგენტოს კახეთის რეგიონული ცენტრი** | რეგიონული ცენტრის უფროსი | 1 |
| | უფროსი სოციალური მუშაკი/განყოფილების უფროსი | 2 |
| | შემთხვევის მენეჯერი | 1 |
| | პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი | 31 |
| **სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ცენტრი** | უფროსი სოციალური მუშაკი/უფროსი | 1 |
| | პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი | 12 |
| **სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ცენტრი** | უფროსი სოციალური მუშაკი/ უფროსი | 1 |
| | პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი | 11 |
| **სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ცენტრი** | უფროსი სოციალური მუშაკი/ უფროსი | 1 |
| | პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი | 12 |
| **სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრი** | რეგიონული ცენტრის უფროსი | 1 |
| | უფროსი სოციალური მუშაკი/ განყოფილების უფროსი | 2 |
| | უფროსი სოციალური მუშაკი | 1 |
| | პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი | 27 |
| **სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრი** | რეგიონული ცენტრის უფროსი | 1 |
| | უფროსი სოციალური მუშაკი/ განყოფილების უფროსი | 2 |
| | უფროსი სოციალური მუშაკი | 1 |
| | პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი | 15 |

**სსპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში სოციალური მუშაკები დასაქმებულნი არიან შემდეგ პოზიციებზე:**

- სოციალური მუშაობის მენეჯერი - 1
- პროფესიული ზედამხედველი - 3
- პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი - 54

სოციალური მუშაობის მენეჯერის სამუშაო ადგილია ქალაქი თბილისი, ხოლო პროფესიული ზედამხედველები გადანაწილებულნი არიან:

- თბილისი, შიდა ქართლი - 1;
- იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, აჭარა - 1;
- მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო და ქვემო სვანეთი - 1.

პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების გადანაწილება მოცემულია დიაგრამა #10-ში.

**სსპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოში სოციალური მუშაკები დასაქმებულნი არიან** მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტში შემდეგ პოზიციებზე:

- პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი - 41
- პროფესიული ზედამხედველი - 3
- სარეაბილიტაციო პროექტების კოორდინატორი - 1
- სამმართველოს უფროსი - 2
- დეპარტამენტის უფროსი - 1

არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში:

- პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი - 6
- პროფესიული ზედამხედველი - 1

თითოეული პოზიციის წარმომადგენელი დასაქმებულია მხოლოდ თბილისში, რომელთა დაქვემდებარებაში არიან სხვა რეგიონის პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები.

**სსიპ ,,აღსრულების ეროვნულ ბიუროში''** დასაქმებული სოციალური მუშაკების სამუშაო პოზიციაა - პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი, ხოლო პროფესიულ ზედამხედველის და მენეჯერის პოზიციები არ არის.

## სოციალურ მუშაკთა განათლება/კვალიფიკაცია

### სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკების უმეტესობა არის სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი (196), ამასთან, უწყებაში დასაქმებულნი არიან როგორც ბაკალავრის ხარისხის მქონე სოციალური მუშაკები, ასევე მაგისტრი სოციალური მუშაკები. დასაქმებული სოციალური მუშაკების განათლება იხილეთ დიაგრამა #14 ზე, ხოლო დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების განათლება, კვალიფიკაცია რეგიონების მიხედვით იხილეთ ცხრილ #4-ში.

*დიაგრამა #14 - დასაქმებული სოციალური მუშაკების განათლება/კვალიფიკაცია:*




*ცხრილი #4 - დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების განათლება, კვალიფიკაცია რეგიონების მიხედვით:*

| რეგიონი | განათლება/კვალიფიკაცია |
|---|---|
| პროფესიული ზედამხედველები | ბაკალავრი - 4<br>მაგისტრი - 5 |
| თბილისი | ბაკალავრი - 24<br>მაგისტრი - 12<br>სერტიფიცირებული - 28 |
| იმერეთის რეგიონული ცენტრი | ბაკალავრი - 4<br>მაგისტრი - 1<br>სერტიფიცირებული - 33 |
| რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი | სერტიფიცირებული - 5 |
| გურიის რეგიონული ცენტრი | ბაკალავრი - 1<br>მაგისტრი - 0<br>სერტიფიცირებული - 6 |
| სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრი | ბაკალავრი - 2<br>მაგისტრი - 1<br>სერტიფიცირებული - 23 |
| კახეთის რეგიონული ცენტრი | ბაკალავრი - 4<br>მაგისტრი - 1<br>სერტიფიცირებული - 30 |
| სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ცენტრი | ბაკალავრი - 1<br>მაგისტრი - 1<br>სერტიფიცირებული - 11 |

| | |
|---|---|
| მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ცენტრი | ბაკალავრი - 1<br>მაგისტრი - 2<br>სერტიფიცირებული - 9 |
| შიდა ქართლის რეგიონული ცენტრი | ბაკალავრი - 2<br>მაგისტრი - 2<br>სერტიფიცირებული - 9 |
| ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრი | ბაკალავრი - 4<br>მაგისტრი - 3<br>სერტიფიცირებული - 24 |
| აჭარის ა/რ ცენტრი | ბაკალავრი - 1<br>მაგისტრი - 0<br>სერტიფიცირებული - 18 |

## სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში დასაქმებული 54 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკიდან 18 ფლობს მაგისტრის ხარისხს სოციალურ მუშაობაში, 19 სოციალური მუშაკს აქვს ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში, ხოლო 17 არის სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი. უწყებაში დასაქმებული სოციალური მუშაობის მენეჯერი ფლობს მაგისტრის ხარისხს და სამივე პროფესიული ზედამხედველი არის მაგისტრი სოციალური მუშაკი.

*დიაგრამა #15 - სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების განათლება /კვალიფიკაცია:*



*ცხრილი #5 - სსპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების განათლება, კვალიფიკაცია რეგიონების მიხედვით:*

| რეგიონი/რაიონი | განათლება/კვალიფიკაცია |
|---|---|
| სოციალური მუშაობის მენეჯერი | მაგისტრი -1 |
| სოციალურ მუშაკთა პროფესიული ზედამხედველი | მაგისტრი - 3 |
| თბილისი | ბაკალავრი - 15<br>მაგისტრი - 8<br>სერტიფიცირებული - 4 |
| მცხეთის მუნიციპალიტეტი | ბაკალავრი - 1<br>მაგისტრი - 1 |
| ქუთაისი | სერტიფიცირებული - 3 |
| ამბროლაური | მაგისტრი - 1 |
| ბათუმი | მაგისტრი - 2<br>სერტიფიცირებული - 3 |
| ხელვაჩაური | სერტიფიცირებული - 1 |
| თელავი | სერტიფიცირებული - 3 |
| გურჯაანი | ბაკალავრი - 1<br>მაგისტრი - 1 |
| გორი | მაგისტრი - 2<br>სერტიფიცირებული -1 |
| ხაშური | მაგისტრი - 1 |
| რუსთავი | მაგისტრი - 1<br>სერტიფიცირებული - 1 |
| ზუგდიდი | მაგისტრი - 1 |
| ფოთი | ბაკალავრი - 1 |
| ახალციხე | ბაკალავრი - 1<br>სერტიფიცირებული -1 |

## სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოში დასაქმებული, როგორც მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამმართველოში, ასევე რეფერირების ცენტრში, 47 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკიდან, 19-ს აქვს მაგისტრის ხარისხი, 14 სოციალური მუშაკი არის ბაკალავრის ხარისხის მფლობელი, ტემპუსის პროგრამით სერტიფიცირებულია 8, ხოლო მასწავლებლის სახლის მიერ გადამზადებულია 6 სოციალური მუშაკი. იხილეთ დიაგრამა #16.

*დიაგრამა #16 - სსპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოში მთლიანად პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების განათლება /კვალიფიკაცია:*




არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში დასაქმებული 6 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკიდან 5 არის მაგისტრი სოციალური მუშაკი, ერთი კი ბაკალავრი სოციალური მუშაკი. ასევე მაგისტრის ხარისხს ფლობს რეფერირების ცენტრის პროფესიული ზედამხედველიც.

*დიაგრამა #17 - არასრულწლოვანთა რეფერირების სამმართველოში პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების განათლება /კვალიფიკაცია:*




როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული 7 პირი, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებს, ფლობენ როგორც სოციალური მუშაობის მაგისტრის, ასევე ბაკალავრის ხარისხს. ცხრილში წარმოდგენილია თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პირის განათლება/კვალიფიკაცია.

| სამუშაო პოზიცია | განათლება |
|---|---|
| დეპარტამენტის უფროსი | ტასის-ტემპუსის პროგრამის სერტიფიცირების კურსი |
| რეაბილიტაციის სამმართველოს უფროსი | ბაკალავრი სოციალური მუშაკი |
| რეაბილიტაციის სამმართველოს მენეჯერი | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი |
| სარეაბილიტაციო პროგრამების კოორდინატორი | ბაკალავრი სოციალური მუშაკი |
| პროფესიული ზედამხედველი | 4 პროფესიული ზედამხედველი არის მაგისტრი სოციალური მუშაკი |

ცხრილში წარმოდგენილია უშუალოდ სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“ დასაქმებული 41 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის განათლება/კვალიფიკაცია რეგიონების მიხედვით.

პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის განათლება/კვალიფიკაცია წარმოდგენილია დიაგრამა #16-17-ში.

| რეგიონი | განათლება/კვალიფიკაცია |
|---|---|
| თბილისი | ბაკალავრი - 10<br>მაგისტრი - 11 |
| იმერეთი | მაგისტრი - 4 |
| კახეთი | მაგისტრი - 1<br>ტემპუსის სასერტიფიკატო 60 კრედიტიანი პროგრამა - 2 |
| სამეგრელოსა და ზემო-სვანეთი | ბაკალავრი - 1<br>ტემპუსის სასერტიფიკატო 60 კრედიტიანი პროგრამა - 1 |
| მცხეთა-მთიანეთი | ტემპუსის სასერტიფიკატო 60 კრედიტიანი პროგრამა - 1<br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული - 1 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული - 1 |
| შიდა ქართლი | ბაკალავრი - 1<br>მაგისტრი - 3 |
| ქვემო ქართლი | ბაკალავრი - 2<br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული - 1 |
| სამცხე-ჯავახეთი | ტემპუსის სასერტიფიკატო 60 კრედიტიანი პროგრამა - 1<br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული - 1 |
| აჭარა და გურია | ტემპუსის სასერტიფიკატო 60 კრედიტიანი პროგრამა - 3<br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული - 2 |

## სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო

**სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროში დასაქმებული 5 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკიდან** 4 ფლობს ბაკალავრის ხარისხს სოციალურ მუშაობაში, ხოლო ერთი პრაქტიკოს სოციალურ მუშაკს აქვს ფსიქოლოგის ხარისხი, თუმცა დასაქმებულია სოციალურ მუშაკად.

*დიაგრამა #18 - სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების განათლება /კვალიფიკაცია:*




## სოციალური მუშაკების დაქირავების ტიპი

**სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში** შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, სრული სამუშაო განაკვეთით, 2022 წლის ივნისის თვის მდგომარეობით,დასაქმებულია 266 სოციალური მუშაკი, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით 6, სულ 272. თითოეული პოზიცია ითვალისწინებს სრულ სამუშაო განაკვეთს.

**სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის "ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში"** სოციალური მუშაობის მენეჯერის პოზიცია განეკუთვნება საშტატო განრიგით გათვალისწინებულ პოზიციას (1 საშტატო ერთეული), ხოლო პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის პოზიცია და პროფესიული ზედამხედველების განეკუთვნება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პოზიციას, შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 57 (54 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი, 3 პროფესიული ზედამხედველი). თითოეული პოზიცია ითვალისწინებს სრულ სამუშაო განაკვეთს.

**სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში** დასაქმებული 55 სოციალური მუშაკიდან 34 დანიშნულია საშტატო თანამდებობაზე, ხოლო 21 დასაქმებულია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ყველა სპეციალისტი დასაქმებულია სრულ განაკვეთზე.

**სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მხარეთა ინტერესების დაცვის სამსახურში** დასაქმებულია 5 სოციალური მუშაკი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, სრულ სამუშაო განაკვეთზე.

*დიაგრამა #19 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების რაოდენობა საშტატო თანამდებობაზე მოცემულ უწყებებში:*




## სოციალური მუშაკების დასაქმების საშუალო ხანგრძლივობა

**სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში** სოციალური მუშაკები უმეტესწილად ინიშნებიან კონკურსის წესით. მათი თავდაპირველი დანიშვნა ხდება 6 თვის გამოსაცდელი ვადით და ამ პერიოდის წარმატებით გავლის შემთხვევაში, ინიშნებიან უვადოდ.

**სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის "ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში"** დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა დასაქმების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 1 წელს.

**სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში** სოციალური მუშაკების დასაქმების ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელსა და 6 თვეს. ყველაზე გამოცდილი თანამშრომლების სამუშაო ხანგრძლივობა შეადგენს 11 წელსა და 6 თვეს, ხოლო ყველაზე ახლად დანიშნული თანამშრომლის სამუშაო გამოცდილებაა - 2 თვე. ამასთან, მენეჯერების მუშაობის საშუალო

ხანგრძლივობა არის 4 წელი და 2 თვე. ხოლო სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველების - 2 წელი და 8 თვე.

**სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიურო** ცალკე სტატისტიკას დასაქმების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით არ აწარმოებს. სოციალური მუშაკების დასაქმებისას მათი მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, მათზე დაკისრებული სამუშაოს მოცულობიდან და სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე.

## სოციალური მუშაკების დაწინაურების გამოცდილება

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში სოციალური მუშაკების კარიერული წინსვლა (დაწინაურება) განხორციელდა 8 პრაქტიკოს სოციალური მუშაკის შემთხვევაზე, კერძოდ:

1. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მხარდაჭერის, სასამართლო/სამოქალაქო დავების და აღსრულების განყოფილების 1 სოციალური მუშაკი დაწინაურდა ამავე განყოფილებაში უფროსი სოციალური მუშაკის/განყოფილების უფროსის თანამდებობაზე;
2. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მხარდაჭერის, სასამართლო/სამოქალაქო დავებისა და აღსრულების განყოფილების 2 სოციალური მუშაკი დაწინაურდა ამავე სააგენტოს მონიტორინგისა და პროექტების დიზაინის დეპარტამენტის პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოში მთავარი სპეციალისტის/სოციალური მუშაკის თანამდებობაზე;
3. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მხარდაჭერის, სასამართლო/სამოქალაქო დავებისა და აღსრულების განყოფილების უფროსი სოციალური მუშაკი/განყოფილების უფროსი გადაყვანილ იქნა ამავე ტერიტორიულ ერთეულში უფროსის თანამდებობაზე;
4. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მხარდაჭერის, სასამართლო/სამოქალაქო დავებისა და აღსრულების განყოფილების უფროსი სოციალური მუშაკი/განყოფილების უფროსის მოადგილე გადავიდა ამავე განყოფილების უფროსი სოციალური მუშაკის/განყოფილების უფროსის თანამდებობაზე;
5. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მხარდაჭერის, სასამართლო/სამოქალაქო დავებისა და აღსრულების განყოფილების სოციალური მუშაკი დაწინაურდა ამავე განყოფილებაში უფროსი სოციალური მუშაკის/განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობაზე;
6. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მხარდაჭერის, სასამართლო/სამოქალაქო დავების და აღსრულების განყოფილების სოციალური მუშაკი დაწინაურდა ამავე განყოფილებაში უფროსი სოციალური მუშაკის/განყოფილების უფროსის თანამდებობაზე;

7. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის ბავშვზე ზრუნვის და დაცვის განყოფილების 2 სოციალური მუშაკი დაწინაურდა ამავე განყოფილებაში უფროსის თანამდებობაზე;

**სსიპ საგანმანათლებლო მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში** ერთი სოციალური მუშაკი დაწინაურდა პროფესიული ზედამხედველის პოზიციაზე.

**სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოში** არსებობს სოციალური მუშაკების დაწინაურების გამოცდილება. ამ ეტაპზე დასაქმებული პროფესიული ზედამხედველობიდან 3 არის ყოფილი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი.

**სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროში** არ მომხდარა სოციალური მუშაკების ბიუროში მუშაობის პერიოდში სხვა მაღალ პოზიციაზე დაწინაურება.

უნდა აღინიშნოს, რომ **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს** ცალკე კადრი არ ჰყავს, როგორც სოციალური მუშაკი, თუმცა მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დასაქმებულია 4 სოციალური მუშაკი, რომლებიც ექვემდებარებიან დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეების სამმართველოს, რომლის ქვესამმართველოებია: სოციალური მხარდამჭერის სამმართველო და სოციალური საკითხებისა და ფსიქოლოგიური მხარდამჭერის სამმართველო. დასაქმებული 4 სოციალური მუშაკიდან 3 არის მაგისტრი სოციალური მუშაკი, ხოლო ერთი სერტიფიცირებული.

ასევე 4-ვე მათგანი დაქირავებულია საშტატო თანამდებობით, სრულ განაკვეთზე. რაც შეეხება დაწინაურების გამოცდილებას ერთ-ერთი სოციალური მუშაკი გადავიდა მე-3 რანგის პოზიციიდან პროგრამების ხელმძღვანელის პოზიციაზე.

4 სოციალური მუშაკი ემსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით დაჭრილ, დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს.

# მუნიციპალიტეტები

2020 წლის მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით სულ არის 69 მუნიციპალიტეტი. მათ შორისაა თბილისის და ოკუპირებული ტერიტორიების 5 მუნიციპალიტეტი (ჟარის, თიღვის, ერედვის, ქურთის, ახალგორის მუნიციპალიტეტები).

**თბილისი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მერიაში ფუნქციონირებს ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტო, რომელშიც დასაქმებულნი არიან სოციალური მუშაკები. 2022 წლის თებერვლის თვის მონაცემებით, თბილისის მასშტაბით დასაქმებულია 114 პირი სოციალური მუშაკის თანამდებობაზე, მათ შორის 25 უფროსი სოციალური მუშაკის თანამდებობაზე, რომლებიც ექვემდებარებიან სოციალური და მულტიფუნქციური დახმარების სამსახურს. შესაბამისად, მერიაში დასაქმებულია 89 პირი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის პოზიციაზე და 25 - უფროსი სოციალური მუშაკის პოზიციაზე.

*დიაგრამა #20 თბილისის სოციალური მუშაკების გადანაწილება რაიონების მიხედვით:*




თბილისის მერიის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, დასაქმებული 114 პირიდან, რომლებიც დასაქმებული არიან სოციალური მუშაკის პოზიციაზე (უფროსი სოციალური მუშაკის და სოციალური მუშაკის პოზიციებზე) ყველა არის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული. თითოეული პირი დასაქმებულა საშტატო თანამდებობაზე, რომლებთანაც დადებულია შრომითი ხელშეკრულებები. რაც შეეხება მუშაობის ხანგრძლივობას, სააგენტოში პირთა დასაქმება სოციალური მუშაკის პოზიციაზე განხორციელდა 2020 წლის 1 სექტემბრიდან. შესაბამისად, ამ ეტაპზე სააგენტოში სოციალური მუშაკის დაწინაურების გამოცდილება არ აქვთ.

*შენიშვნა: თბილისის მერიას გადმოგზავნილი აქვს სოციალურ მუშაკთა სამუშაო აღწერილობა.*

### 68 მუნიციპალიტეტის მერია

თბილისის გარდა, დარჩენილი 68 მუნიციპალიტეტის მერიიდან, საჯარო ინფორმაცია დასაქმებული სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული პირების შესახებ, მოწოდებული იქნა 67 მუნიციპალიტეტიდან. 67 მუნიციპალიტეტის მონაცემებზე

დაყრდნობით, 49 მათგანში დასაქმებულია 82 პირი სოციალურ მუშაკად. ამ დრომდე 18 მუნიციპალიტეტში არ არიან სოციალური მუშაკები დასაქმებული.

ამ ეტაპზე სოციალური მუშაკები დასაქმებული არ ჰყავთ შემდეგ მუნიციპალიტეტებს:

- ხელვაჩაური
- ხონი
- ახმეტა
- გურჯაანი
- სიღნაღი
- თიანეთი
- მცხეთა
- ყაზბეგი
- ლენტეხი
- ონი
- ცაგერი
- ნინოწმინდა
- ქარელი
- ერედვი
- თეთრიწყარო
- ახალგორი
- თიღვი
- აჟარა (ზემო აფხაზეთი)

კვლევის ფარგლებში ინფორმაცია არ მოუწოდებია ქურთის მუნიციპალიტეტს.

2020 წლიდან მუნიციპალიტეტებში შეიქმნა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელშიც დასაქმებულნი უნდა იყვნენ სოციალური მუშაკები და თავის მხრივ, მოცემული განყოფილება ექვემდებარება მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს. ამასთან, არის რამდენიმე მუნიციპალიტეტი, მაგალითად მარტვილის, სადაც პირები სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებულნი არიან საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურში. ასევე, მარნეულში და წალკაში ფუნქციონირებს ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური. ხოლო გორის მუნიციპალიტეტში ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება დაქვემდებარებულია - ადმინისტრაციულ და შესყიდვების სამსახურს. ადიგენი და კასპის მუნიციპალიტეტებში პირები სოციალური მუშაკის პოზიციაზე დაქირავებულები არიან მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში.

რაც შეეხება, ოკუპირებული ტერიტორიებზე არსებულ მუნიციპალიტეტებს, როგორებიცაა: ერედვი, ახალგორი, თიღვი და აჟარის (ზემო აფხაზეთის), ტერიტორიის ოკუპაციიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნია სამოქმედო ტერიტორია, დევნილები ჩასახლებულნი არიან სხვადასხვა ტერიტორიაზე და ამჟამად მუნიციპალიტეტებში

სოციალური მუშაკები არ არიან დასაქმებულნი. *„საკითხი შეთანხმებულია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან“.* ასევე, მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სოციალური მუშაკების დასაქმებას ხელი შეუშალოა პანდემიამაც.

ხოლო ის მუნიციპალიტეტები, რომლებშიც არ არიან დასაქმებული სოციალური მუშაკები, გამოთქვამენ მზაობას და გეგმავენ უახლოეს მომავალში კადრების აყვანას. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მათგანში (მცხეთა, ახმეტა) უკვე ჩამოყალიბდა ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, თუმცა არის ისეთი მუნიციპალიტეტები, მაგალითად თიანეთი, სადაც მერიის მოქმედ საშტატო ნუსხაში არ არის გათვალისწინებული სოციალური მუშაკის თანამდებობა, არც ხელშეკრულებით არ არის დასაქმებული და მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, არც სამომავლოდ არ იგეგმება.

მუნიციპალიტეტში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული პირები, გადანაწილებულნი არიან მთლიანად მუნიციპალიტეტში შემავალ ტერიტორიულ ერთეულში და ცალკე რაიონული გადანაწილება ამ ეტაპისთვის, არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არის.

*დიაგრამა #21 მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა:*




49 მუნიციპალიტეტში პირები სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებულნი არიან ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში, პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებად. ასევე, რამდენიმე მუნიციპალიტეტში ბავშვის უფლებათა დაცვისა და

მხარდამჭერის განყოფილების ერთი სოციალური მუშაკი ითავსებს, ერთი მხრივ, ოჯახის სოციალური მუშაკის როლს და მეორე მხრივ, თემის სოციალური მუშაკის როლს (მაგალითად, დუშეთის, სენაკის). ახალციხეში დასაქმებული 2 პირი, რომლიც სოციალური მუშაკის შტატზეა გაფორმებული, ითავსებს ასევე სოციალურ საკითხთა განყოფილების სპეციალისტის ფუნქციებს.

საინტერესოა, რომ ბორჯომში სოციალურ მუშაკად დასაქმებულ პირს შეთავსებული აქვს **კოორდინატორის, ფსიქოლოგის, ჯანდაცვის სპეციალისტის, იურისტის და ინსპექტორის ფუნქციები.**

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული პირების პოზიციების დასახელება განსხვავდება და როგორც დიაგრამა #21-შია ნაჩვენები უმეტესად სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული პირების რაოდენობა შეადგენს ერთს. თუმცა არის ისეთი მუნიციპალიტეტები (ქუთაისი, სამტრედია), სადაც 6 სოციალური მუშაკი ერთსა და იმავე პოზიციაზეა დასაქმებული.

ყველა სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული სპირის სამსახურებრივი პოზიცია არის პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი, თუმცა შიდა რანგობრივი გადანაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირია:

- თემის სოციალური მუშაკი;
- ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი;
- პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი;
- I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- უმცროსი სპეციალისტი, I კატეგორიის IV რანგი;
- II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- II კატეგორიის უმცროს სპეციალისტი.
- III რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სოციალური მუშაკი.
- III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სოციალური მუშაკი ბავშვთა;
- III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- V რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;
- კოორდინატორი;

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტში არ არის დიფერენცირებული სოციალური მუშაკის პოზიცია, მაშინ როცა დასაქმებულია 6 პირი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის პოზიციაზე. ასევე, მარნეულის მუნიციპალიტეტში, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის და უფროსი სპეციალისტს თანამდებობაზე დანიშნულია ერთი პირი. ხოლო ჩოხატაურის შემთხვევაში ბავშვის სოციალური მუშაკის ფუნქცია დაკისრებული აქვს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსს. მარტვილს მეორე კატეგორიის უმცროს სპეციალისტს შეთავსებული აქვს ბავშვთა სოციალური მუშაკის ფუნქციები. გარდა ამისა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა

და სოციალური მომსახურების სამსახურის პირველი და მეორე კატეგორიის ორ უფროს სპეციალისტს შეთავსებული აქვთ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის ფუნქციები.

თითოეულ მუნიციპალიტეტში დასაქმებული პირები სოციალური მუშაკის პოზიციაზე, რომლებიც ძირითადად არიან პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები, დასაქმებულნი არიან მთლიანად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ცალკე რეგიონების და რაიონების მიხედვით არაა გამოყოფილი საშტატო ერთეულები.

## მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაცია

49 მუნიციპალიტეტში დასაქმებული 82 სოციალური მუშაკიდან 57 არის სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი. ამასთან, ბათუმის (3), გორის (2), რუსთავის (2), მარნეულის (1) სოციალურ მუშაკებს გავლილი აქვს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელებული ტემპუსის სასერტიფიკატო 60-კრედიტიანი პროგრამა. მესტიის 3 სოციალური მუშაკიდან ორი არის სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი, რომელთაგან ერთი-ერთი პირველადი განათლებით არის ეკონომისტი, ხოლო მესამე სოციალურ მუშაკს აქვს ბაკალავრის ხარისხი ექიმი-ფსიქოთერაპევტის მიმართულებით და ამ ეტაპისთვის არაა სერტიფიცირებული, თუმცა დასაქმებულია სოციალურ მუშაკად. სამტრედიის (6), ბორჯომის (1), შუახევის (1), ასპინძის (1) მუნიციპალიტეტებს არ მოუწოდებიათ ინფორმაცია სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული პირების განათლებასთან დაკავშირებით. ხოლო კასპის სოციალური მუშაკი ბაკალავრის ხარისხს ფლობს სოციოლოგიაში. ახალქალაქში სოციალურ მუშაკად დასაქმებული პირი არის განათლებით პედაგოგი. ცხრილში დეტალურადაა მოცემული დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაცია, განათლება.

ცხრილი #6 - მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სოციალური მუშაკების კვალიფიკაცია, განათლება:

| | |
|---|---|
| ტემპუსის სასერტიფიკატო 60-კრედიტიანი პროგრამა | 8 |
| მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი | 57 |
| განათლებით არა სოციალური მუშაკი და არაა სერტიფიცირებული | 2 |
| არაა დაზუსტებული კვალიფიკაცია | 9 |
| ექიმი-ფსიქოთერაპევტი | 1 |

| | |
|---|---|
| ეკონომისტი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი | 1 |
| ექიმი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი | 1 |
| პედაგოგი | 1 |
| სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი | 1 |
| ბაკალავრი - ბიზნესის ადმინისტრირებასა და მართვაში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი | 1 |

## მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სოციალური მუშაკების დაქირავების ტიპი

2022 წლის თებერვალ-მარტის მონაცემებით, თითოეულ მუნიციპალიტეტში დასაქმებული სოციალური მუშაკების სამუშაო განაკვეთი შეადგენს სრულ სამუშაო განაკვეთს, რაც გულისხმობს კვირაში 40 საათიან სამუშაო გრაფიკს.

რაც შეეხება, მათი დაქირავების ტიპს, უნდა ითქვას, რომ 82 სოციალური მუშაკიდან 45 არის საშტატო თანამდებობაზე დაქირავებული, 13 ხელშეკრულებით, ხოლო 22 მათგანზე არაა ინფორმაცია მოწოდებული.

საგულისხმოა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შემთხვევა, სადაც დაქირავებული 2 სოციალური მუშაკის პოზიცია არაა გამოყოფილი არც საშტატო თანამდებობით და არც ხელშეკრულებით. ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტებში დასაქმებულნი არიან სოციალური მუშაკები, მაგრამ არც შტატით და არც ხელშეკრულების საფუძველზე არაა განსაზღვრული სოციალური მუშაკის დასაქმება. როგორც ოფიციალურად მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, დედოფლისწყაროს შემთხვევაში სპეციალისტია *„სოციალურ მუშაკად დასაქმებულ (მოხსენიებული პირები) თითოეულ სპეციალისტს შეთავსებული აქვს ერთი სოციალური პრაქტიკოსი მუშაკის ფუნქცია“* და ფლობენ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ სერტიფიკატს *„მერიის საშტატო ნუსხით არ არის განსაზღვრული სოციალური მუშაკის პოზიცია, ასევე არ არის ხელშეკრულებით დაქირავებული სოციალური მუშაკი“.*

აგრეთვე, ინფორმაცია არაა ბათუმის (3), სამტრედიის (6), თერჯოლის (1), ყვარელის (1), ლაგოდეხის (1), დუშეთის (2), წალენჯიხის (1), ახალქალაქი (1), ბორჯომის (1), წალკის (2), კასპის (1), ხაშურის (2), სულ 22 სოციალური მუშაკის დაქირავების შესახებ.

## მუნიციპალიტეტში დასაქმებულ სოციალური მუშაკების დასაქმების ხანგრძლივობა

მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სოციალური მუშაკები მინიუმ დასაქმებულნი არიან 1 თვე და მაქსიმუმ მათი დასაქმების ხანგრძლივობას შეადგენს 2 წელს. აღსანიშნავია, რომ დასაქმების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით 29 მუნიციპალიტეტს არ მოუწოდებია ინფორმაცია, ხოლო 3-მა მუნიციპალიტეტმა აღნიშნა, რომ უვადოდ ჰყავს დასაქმებული სოციალური მუშაკები, ხოლო ხანგრძლივობასთან დაკავშირებით არ მოუწოდებიათ ინფორმაცია. ქვემოთ წარმოდგენილია მონაცემები 49 მუნიციპალიტეტში რამდენი ხანია რაც დასაქმებულნი არიან სოციალური მუშაკები.




აქვე უნდა გამოიყოს, რომ დედოფლისწყაროს არ მოუწოდებია ინფორმაცია სოციალური მუშაკების დასაქმების საშუალო ხანგრძლივობაზე, თუმცა აღნიშნეს, რომ *„ორი უფროსი სპეციალისტიდან, რომლებსაც შეთავსებული აქვთ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის ფუნქციები, ერთს აქვს სოციალურ საკითხებში მუშაობის 13 წლის გამოცდილება, მეორე სპეციალისტს აქვს ჯანდაცვის საკითხებში 10 წლის და სოციალურ საკითხებში ორი წლის სამუშაო გამოცდილება“.*

## მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სოციალური მუშაკების დაწინაურების გამოცდილება

სოციალური მუშაკების დაწინაურება არ მომხდარა 49 მუნიციპალიტეტიდან 28-ში. 18 მუნიციპალიტეტს აღნიშნულ საკითხზე არ მოუწოდებია ინფორმაცია, ხოლო 3

მუნიციპალიტეტში (ჩოხატაური, ხობი, ბოლნისი) მოხდა სოციალური მუშაკების დაწინაურება. კერძოდ, კი:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბავშვის სოციალური მუშაკი დაწინაურდა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

- ბოლნისი მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი სოციალური მუშაკი დაწინაურდა მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე;




## მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობა

რაც შეეხება სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობას, 39 მუნიციპალიტეტმა გადმოგზავნა შესაბამისად დამტკიცებული სამუშაო აღწერილობა ან წერილში მიუთითა სამუშაოს აღწერა, ხოლო 29 მუნიციპალიტეტს ამ საკითხთან დაკავშირებით არ მოუწოდებია ინფორმაცია.

# სამედიცინო დაწესებულებები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით (N25007; 13.06.2022), საქართველოს მასშტაბით 240 (104 - თბილისი, 136 - რეგიონები) კლინიკაში უნდა იყვნენ დასაქმებული სოციალური მუშაკები. კლინიკების ჩამონათვალი, რომელშიც უნდა იყვნენ

დასაქმებული სოციალური მუშაკები, იხილეთ დანართი #4-ში. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ მოხდა გადმოგზავნილ კლინიკებთან დაკავშირება და დაზუსტება, თუ რამდენი სოციალური მუშაკი არის თითოეულ მათგანში დასაქმებული, მათი კვალიფიკაცია, სამუშაო განაკვეთი და ა.შ.

თბილისში, ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, 104 კლინიკაში უნდა იყვნენ სოციალური მუშაკები დასაქმებული. შესაბამისად, 2022 წლის ივნისში მოხდა თითოეულ კლინიკასთან დაკავშირება. უნდა ითქვას, რომ მოწოდებული სიიდან 2 სამედიცინო დაწესებულებას შეჩერებული ჰქონდა საქმიანობა, ხოლო 52-თან ვერ მოხერხდა დაკავშირება ან უარი განაცხადეს პასუხის გაცემაზე. 52 კლინიკაში მოგვაწოდეს ინფორმაცია სოციალურ მუშაკებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, თბილისის სამედიცინო დაწესებულებებიდან დასაქმებულია 52 სოციალური მუშაკი.

გამოკითხული 52 სამედიცინო დაწესებულებიდან 2-ს არ ჰყავს სოციალური მუშაკი, ორმა კლინიკამ განაცხადა რომ ჰყავს, თუმცა არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ მათზე. რა საქმიანობას ასრულებენ, ვინ არიან, რა განათლება აქვთ და ა.შ. ერთ-ერთი კლინიკის დირექტორი არ ფლობდა სოციალურ მუშაკთან დაკავშირებით ინფორმაციას. ამასთან, ერთმა კლინიკამ საერთოდ არ იცოდა სოციალური მუშაობის შესახებ არაფერი, ხოლო ერთმა არ მოგვაწოდა ინფორმაცია.

საბოლოოდ, თბილისის 52 კლინიკიდან რეალურად 45 კლინიკაშია დასაქმებული სოციალური მუშაკის პოზიციაზე პირები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 52-ს. ცხრილ #7-ში იხილეთ კლინიკები, სადაც დასაქმებული არიან პირები სოციალური მუშაკის პოზოციაზე.

*შენიშვნა 1: საქართველოს მასშტაბით ევექსის კლინიკის ქსელში შემავალ 21 კლინიკაში გაგზავნილია ოფიციალური წერილი ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით, რადგან თავად კლინიკებმა არ ისურვეს პასუხის გაცემა და გადამისამართება მოხდა მთავარ ოფისში.*

*შენიშვნა 2: გრაფაში „დამატებითი თანამდებობა" მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ იმ კლინიკებში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული პირების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც გარდა სოციალური მუშაობისა ითავსებენ სხვა, დამატებით საქმიანობას და მხოლოდ ერთი მიმართულებით არ არიან დასაქმებულნი.*

ცხრილი #7- კლინიკების ჩამონათვალი, სადაც დასაქმებულნი არიან პირები სოციალური მუშაკის პოზიციაზე:

| | სამედიცინო დაწესებულების დასახელება | განყოფილება | სოციალური მუშაკების რაოდენობა | დამატებითი თანამდებობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | შპს "№5 კლინიკური საავადმყოფო" | სტაციონარი | 1 | კლინიკის სტატისტიკოსი |
| 2 | შპს "კავკასიის მედიცინის ცენტრი" | სტაციონარი | 1 | კლინიკის იურისტი |
| 3 | შპს "თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა" | ამბულატორია | 1 | ოფისის მენეჯერი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | შპს "ავერსის კლინიკა" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | სადაზღვეო კომპანიის წარმომადგენელ |
| 5 | შპს კარდიოლოგიური კლინიკა "გული" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 2 | |
| 6 | შპს "მედი ქლაბ ჯორჯია" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ადამიანური რესურსების მართვის თანაშემწე |
| 7 | შპს "Mმედი22" | სტაციონარი | 1 | |
| 8 | სს "ჯერარსი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | კლინიკის იურისტი |
| 9 | შპს "აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 10 | შპს  "თბილისის გულის ცენტრი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 11 | შპს დავით დავარაშვილის კლინიკა | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 12 | შპს "ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 5 | |
| 13 | შპს "ზურაბ შაქარაშვილის ონკოჰემატოლოგიური კლინიკა ლაიფმედი" | სტაციონარი | 1 | კლინიკის აღმასრულებელ დირექტორი |
| 14 | შპს "ინიციო" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | კლინიკის იურისტი |
| 15 | შპს "ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 16 | შპს "ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა" | სტაციონარი | 1 | |
| 17 | შპს "მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ეპიდემიოლოგი |
| 18 | სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 19 | შპს "ჯანმრთელობის ცენტრი" | არ ჰყავთ | | |
| 20 | შპს "ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 21 | შპს ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 22 | შპს "ნეოგენი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ეიჩარი |
| 23 | შპს "სამკურნალო-სადიაგნოსტიკო ცენტრი სამგორი მედი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 24 | ა(ა)იპ რემედიქალი | სტაციონარი | 1 | |
| 25 | შპს "ესთელაინი" | საოპერაციო | 1 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | განყოფილება | | |
| 26 | შპს "პირველი სამედიცინო ცენტრი" | არ ფლობენ ინფორმაციას, თუმცა აცხადებენ, რომ ყავთ | 1 | |
| 27 | ა(ა)იპ ჯო ენის სამედიცინო ცენტრი | | 1 | აფთიაქის გამგებლის დამხმარე |
| 28 | შპს "იმედის კლინიკა" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 29 | შპს "წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 30 | შპს რეპროდუქციული მედიცინისა და უშვილობის ცენტრი | ამბულატორია | 1 | ადმინისტრატორი |
| 31 | შპს "ჯონი ჭანტურიას სახელობის სამედიცინო ცენტრი" | სტაციონარი | 1 | |
| 32 | სს "ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი" | ადმინისტარიულ განყოფილებაში | 1 | |
| 33 | შპს "ინოვა" | ადმინისტრაციაში (ორივე განყოფილებას მოიცავს) | 1 | |
| 34 | შპს "აკადემიკოს ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი "ენმედიცი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ანგარიშგების მენეჯერი |
| 35 | ა(ა)იპ ბერძნული სამედიცინო ფონდი "ჰიპოკრატე" | არ ფლობენ ინფორმაციას, თუმცა აცხადებენ, რომ ყავთ | 1 | |
| 36 | სს "ჩაჩავას კლინიკა" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 37 | შპს ,,წმინდა გიორგის სახელობის ჯანმრთელობის სახლი " | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ბუღალტერი |
| 38 | შპს ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა | არ იციან სოციალური მუშაკი და სოციალური მუშაობა რას ნიშნავს | | |
| 39 | შპს "ტოტალ შარმ" | | 1 | კლინიკის ეჩარი |
| 40 | შპს "ჰერა 2011" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | კლინიკის იურისტი |
| 41 | შპს "ოპტიმალ მედი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 42 | შპს რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი "უნივერსი" | არ ჰყავთ | | |
| 43 | შპს "სხივური მედიცინის ცენტრი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ადმინისტრაციის ხელმძღვანელი |
| 44 | შპს "N ქირონ +" | სტაციონარი | 1 | ადმინისტრაციის უფროსი |
| 45 | შპს "გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკა "ნევროლოგი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 46 | შპს "საქართველოს კოლოპროქტოლოგიის ცენტრი" | სტაციონარი | 1 | კლინიკის იურისტი |
| 47 | შპს "გიდმედი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 48 | შპს "მენტალვიტა" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 49 | შპს "მედინვესტი-ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტი" | 1, ეპიდემიოლოგიის პოზიციასთან ერთად, გაფორმებული არაა სოც მუშაკად ოღონდ | 1 | ეპიდემიოლოგიის, ამასთან გაფორმებული არაა სოციალურ მუშაკად |
| 50 | შპს "კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტი" | არ იცის | | ჯანდაბა ევროპისგან მოგვაქვს ეს ძალით შემოტენილი სოციალური მუშაკი, რომელიც საჭირო არაა პატარა კლინიკებში. დირექტორი |
| 51 | ჯო ენის კლინიკა | მთლიანად კლინიკაში | 1 | |
| 52 | შპს "მედი" | არ ვიცით, ვერავინ დაგეხმარებათ | | |

რეგიონებში, სამინისტროს მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 136 კლინიკაში უნდა იყვნენ დასაქმებულები სოციალური მუშაკები. სამედიცინო დაწესებულებების გადამოწმების შედეგად დაკავშირება მოხდა მხოლოდ 42 კლინიკასთან, რომელთაგან 30 დაწესებულებაში არიან დასაქმებულები პირები სოციალური მუშაკის პოზიციაზე, 9-ს არ ჰყავს, 1-მა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე, 1 კლინიკაში არ ჰქონდათ ზოგადად სოციალური მუშაობის შესახებ ინფორმაცია, ხოლო ერთმა კლინიკამ აღნიშნა, რომ *„გვყავდა ვიღაც გოგო, არაფერი ფუნქცია არ ჰქონდა უბრალოდ გვთხოვდნენ რომ გვყოლოდა“* . აქვე უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი კლინიკის მენეჯერმა განაცხადა, რომ არ ჰყავდათ სოციალური მუშაკი, მოგვიანებით კი დაგვიკავშირდა და აღნიშნა, რომ თავად იყო სოციალური მუშაკი და მას ევალებოდა სოციალური მუშაკის ფუნქციები. მთლიანობაში რეგიონებში დასაქმებულია 36 პირი სოციალური მუშაკის პოზიციაზე. საბოლოოდ,

თბილისსა და რეგიონების სამედიცინო დაწესებულებებში 88 პირი იკავებს სოციალური მუშაკის თანამდებობას.

ცხრილ #8-ში წარმოდგენილია საქართველოს რეგიონების მასშტაბით (თბილისის გარდა), რომელ კლინიკებში არიან დასაქმებული სოციალური მუშაკები:

ცხრილი #8:

| | სამედიცინო დაწესებულების დასახელება | განყოფილება | სოციალური მუშაკების რაოდენობა | დამატებითი თანამდებობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | შპს "ბათუმის სამედიცინო ცენტრი" | 2-მობილური, 2-სტაციონარი, 1 ამბულატორია | 5 | |
| 2 | შპს "მედ ემერჯენსი" | ამბულატორია | 1 | |
| 3 | შპს "ქალაქ ბათუმის მრავალპროფილიანი სამშობიარო სახლი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 4 | შპს "მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 5 | შპს "ხოზრევანიძის კლინიკა" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 6 | სს "მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი-2010" | ამბულატორია | 1 | |
| 7 | შპს "ჯანმრთელობის სახლი გურიაში" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 8 | შპს "მედალფა" ოზურგეთი | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ხარისხის კონტროლის სპეციალისტი |
| 9 | შპს "მედალფა" ლანჩხუთის | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ხარისხის მართვის სპეციალისტი |
| 10 | შპს "მედალფა" ჩოხატაურის | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ფარმაცევტი |
| 11 | შპს ჯეო ჰოსპიტალს ზესტაფონის | სტაციონარი | 1 | სერვის მენეჯერი |
| 12 | შპს "უნიქალმედი" | არ ჰყავთ | | |
| 13 | შპს "წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო" | ამბულატორია | 1 | ექიმი |
| 14 | შპს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი "- ხარაგაული | არ ჰყავთ | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15 | შპს "ქუთაისის ახალი №2 სამშობიარო სახლი" | მთელ კლინიკაში | 1 | |
| 16 | შპს ჯეო ჰოსპიტალს ვანი | არ ჰყავთ | | |
| 17 | სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება | არ ჰყავთ | | |
| 18 | შპს "ლჯ და კომპანია - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 19 | შპს "კლინიკა ელიტე" | არ ჰყავთ | | |
| 20 | შპს "მარი-T" | არ ჰყავთ | | |
| 21 | შპს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ოფის მენეჯერი |
| 22 | შპს "სიხარული" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 23 | შპს "ჯეო ჰოსპიტალს" | სტაციონარი | 1 | ფინანსური მენეჯერის ასისტენტი |
| 24 | შპს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" - ყაზბეგი | არ ჰყავთ | | |
| 25 | შპს "მცხეთის სამედიცინო ცენტრი" | უარს ვამბობ კვლევაში მონაწილეობაზე | | |
| 26 | შპს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" ამბროლაური | არ ჰყავთ | | |
| 27 | შპს "სენაკის ბავშვთა საავადმყოფო" რუსთაველზე | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ექიმი |
| 28 | შპს ფოთის ცენტრალური საავადმყოფო-ბომონდი | სოციალური მუშაკი არ ვიცი რა არის არ გვყავს! | | |
| 29 | შპს "სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" | 1- მობილური, 1- სტაციონარში,1- ამბულატორიაში | 3 | |
| 30 | სს "ნ. მიქაიას სახელობის ჩხოროწყუს სამშობიარო სახლი" | არ ჰყავთ | | |
| 31 | შპს "მარნეკორი" | გვყავდა ვიღაც გოგო, არაფერი ფუნქცია არ ჰქონდა უბრალოდ გვთხოვდნენ, რომ გვყოლოდა | | |
| 32 | სს "რუსთავის ბავშვთა | მთელ კლინიკაში | 1 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საავადმყოფო" | | | |
| 33 | შპს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" | სტაციონარი | 1 | ბუღალტრის დამხმარე |
| 34 | შპს "რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 35 | სს "რუსთავის სამშობიარო სახლი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | "შეთხვევა ჯერ არ გვქონია რომ მემუშავა" |
| 36 | სს "რუსთავის N2 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი" | არ ფლობენ ინფორმაციას მის შესახებ | 1 | |
| 37 | შპს "ჯეო ჰოსპიტალს" მარნეულის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი | | 1 | მენეჯერის ინფორმაციით არ ჰყავთ, თუმცა როგორც გაირკვა თავად არის სოციალური მუშაკი |
| 38 | შპს "ავერსის კლინიკა" | ამბულატორია | 1 | |
| 39 | შპს "ჯეო ჰოსპიტალს" გარდაბნის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ექიმი |
| 40 | შპს "ალიანს მედი" | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | კადრების სპეციალისტი |
| 41 | შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | |
| 42 | შპს აბასთუმნის ფილტვის ცენტრი | ორივე (სტაციონარი, ამბულატორია) | 1 | ტექნიკური ინჟინერი |

## სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა განყოფილებების მიხედვით

თბილისში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული 52 პირიდან ორივე, როგორც სტაციონალურ, ასევე ამბულატორიულ განყოფილებაში, დასაქმებულია 33 პირი სოციალურ მუშაკად, 9 დასაქმებულია სტაციონალურ განყოფილებაში, 2 - ამბულატორულში, 2 - ადმინისტრაციულ განყოფილებაში, 1- საოპერაციო განყოფილებაში და 5 მათგანზე არ მოგვაწოდეს ინფორმაცია.




რეგიონებში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული 36 პირიდან ორივე, როგორც სტაციონალურ, ასევე ამბულატორიულ განყოფილებაში, დასაქმებულია 17 პირი სოციალურ მუშაკად, სტაციონალურ და ამბულატორიულ განყოფილებებში დასაქმებულია 6-6 პირი სოციალურ მუშაკად, მობილურ ჯგუფებში - 3, მთლიან კლინიკაში - 2, ხოლო 2 მათგანზე არაა მოწოდებული ინფორმაცია.




## სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების განათლება, კვალიფიკაცია

თბილისში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული პირიდან, მხოლო ერთი არის მაგისტრი სოციალური მუშაკი, რომელიც დასაქმებულია "ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში". ასევე 4 სერტიფიცირებული სოციალური მუშაკიც დასაქმებულია ამავე დაწესებულებაში. ერთი სოციალური მუშაკი ბაკალავრის ხარისხით დასაქმებულია კლინიკა " ჯო ენში", უნდა ითქვას, რომ სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული დანარჩენი 46 პირი პარალელურად დასაქმებულია სხვა პოზიციებზე (იხილეთ ცხრილი #7) და განათლებით არიან იურისტები, ექიმები, პედაგოგები და ა.შ., რომელთაგან მხოლოდ 35-ს აქვს გავლილი კურსები და ტრენინგები სოციალურ მუშაობაში. ერთი მათგანი დღემდე ელოდება მასწავლებლის სახლისგან გადამზადებას, ხოლო 10 მათგანს სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებული არანაირი კურსი არ აქვს გავლილი. საგულისხმოა, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ დააზუსტა თუ ვის მიერ იყო სერტიფიცირების ან ტრენინგ კურსები ორგანიზებული. გამოკითხვისას აღნიშნავდნენ, რომ აქვთ უმაღლესი განათლება, თუმცა რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არ აზუსტებდნენ თავიანთ განათლებას. ქვემოთ ცხრილ #9-ში წარმოდგენილია თბილისში დასაქმებული სოციალური მუშაკების ძირითადი განათლება და სოციალურ მუშაკად დანიშვნის შემდეგ გავლილი გადამზადების კურსები.

ცხრილი #9 - თბილისში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული პირების კვალიფიკაცია:

| განათლება/კვალიფიკაცია (ძირითადი კვალიფიკაცია) | რაოდენობა | სოციალურ მუშაკად დანიშვნის შემდეგ გავლილი ტრენინგ კურსები | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| მაგისტრი სოციალური მუშაკი | 1 | კურსი ჯანდაცვის სოციალური მუშაობა | 2 |
| ბაკალავრი სოციალური მუშაკი | 1 | სერტიფიცირებული სამინისტროს მიერ | 12 |
| სერტიფიცირებული სოციალური მუშაკი | 4 | ტრენინგი სოციალურ მუშაობაში | 21 |
| ექიმი | 2 | ელოდება გადამზადების გავლას | 1 |
| ჯანდაცვა და სამედიცინო | 4 | | |
| სამედიცინო განათლება | 3 | | |
| იურისტი | 9 | | |
| ეკონომისტი | 1 | | |
| სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები | 1 | | |
| სოციოლოგი | 1 | | |
| საბანკო-საფინანსო | 1 | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| მიმართულება | | | |
| პედაგოგი | 1 | | |
| ჰუმანიტარი | 1 | | |
| განათლებით სოციალური მუშაკი | 1 | | |
| ეპიდემოლოგი | 1 | | |
| უმაღლესი განათლება | 14 | | |
| ინფორმირებული ტექნოლოგიების მიმართულებით უმაღლესი | 1 | | |
| ინფორმაცია არაა | 5 | | |

რაც შეეხება რეგიონებს, სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული 36 პირიდან, მხოლოდ ერთს ჰქონდა გავლილი 45-კრედიტიანი სერტიფიცირების კურსი და ამავდროულად არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტი სოციალურ მუშაობაში. 26 სოციალურ მუშაკს გავლილი ჰქონდა სხვადასხვა კურსები სოციალური მუშაობის შესახებ, თუმცა ამ შემთხვევაშიც ვერ მოხდა დაზუსტება თუ რა კურსები იყო. 9 მათგანს არ აქვს გადამზადება გავლილი სოციალურ მუშაკად და არც აკადემიური ხარისხი არ აქვთ მიღებულის სოციალურ მუშაობაში.

ცხრილი #10 - რეგიონებში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული პირების კვალიფიკაცია:

| განათლება/კვალიფიკაცია (ძირითადი კვალიფიკაცია) | რაოდენობა | სოციალურ მუშაკად დანიშვნის შემდეგ გავლილი ტრენინგ კურსები | რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|
| სოციალური მუშაობის მაგისტრატურის სტუდენტი, სერტიფიცირების 45-კრედიტიანი კურსი | 1 | | სერტიფიცირების კურსი | 24 |
| უმაღლესი განათლება | 17 | | ტრენინგ კურსი სოციალურ მუშაობაში | 1 |
| პედაგოგი | 3 | | არ გაუვლია გადამზადება | 1 |
| მედდა | 1 | | | |
| ექიმი | 3 | | | |
| სამედიცნო მიმართულება | 1 | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფარმაცევტი | 1 | | | |
| იურისტი | 2 | | | |
| არაა ინფორმაცია | 7 | | | |




## სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების დაქირავების ტიპი

თბილისში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული 52 პირიდან 51 დასაქმებულია საშტატო თანამდებობით, ხოლო ერთი სოციალური მუშაკი შპს "მედინვესტი- ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტი“-ის კლინიკაში არაა ოფიციალურად გაფორმებული, როგორც სოციალურ მუშაკი და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ეპიდემიოლოგია. ასევე, რეგიონებში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული 36 პირი დასაქმებულია საშტატო თანამდებობაზე.

## სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების სამუშაო განაკვეთი

სოციალური მუშაკის პოზიციაზე დაქირავებული პირების უმეტესობა დაქირავებულნი არიან სრული განაკვეთით, რაც შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ უმეტესობა მათგანს შეთავსებული აქვს სხვა, დამატებითი საქმიანობა (იხილეთ ზემოთ ნაჩვენები ცხრილები #7, #8, #9, #10). თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ სოციალური მუშაკის პოზიციას

იკავებენ, ძირითადად ეს არის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრები, სადაც იმყოფებიან სრულ განაკვეთზე. უნდა ითქვას, რომ იყო რამდენიმე კლინიკა, რომელმაც ახსენა რომ *„საერთოდ არ არის საჭირო სოციალური მუშაკი და დასაქმების დღიდან არც ერთი შემთხვევა არ ჰქონია“.* შესაბამისად, ვერ ხედავენ მათი დასაქმების საჭიროებას. შპს დავით დავარაშვილის კლინიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ *„სოციალური მუშაკი მუშაობს სრული განაკვეთით, თუმცა თითქმის არ დადის კლინიკაში, არც ოთახი აქვს ბენეფიციარების მისაღებად და ერთი სოციალური მუშაკიც კი ზედმეტია“.*
ამასთან, შპს "ჯეო ჰოსპიტალს" მარნეულის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის მენეჯერმა აღნიშნა, რომ სოციალური მუშაკები არ ჰყავდათ კლინიკაში დასაქმებული და მოგვიანებით თავად დაუკავშირდა მკვლევარს და აღნიშნა რომ *„თურმე მე ვყოფილვარ სოციალური მუშაკი, ბრძანება ჩემზე ყოფილა დაწერილი, თუმცა დეტალები არ ვიცი“.*




## სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების დასაქმების ხანგრძლივობა

თბილისში და რეგიონებში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებული 88 პირიდან დასაქმების ერთწლიანი გამოცდილება აქვს 68-ს, თბილისში სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებულ 10 პირს 1 წელზე მეტი, რომელთაგან 5-ს მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს. ხუთივე სოციალური მუშაკი დასაქმებულია შპს "ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"-ში. ერთ წელზე ნაკლები სამუშაო გამოცდილება აქვს სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებულ 8 პირს მთელი საქართველოს მასშტაბით.




## სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობა

სოციალური მუშაკის სამუშაო აღწერილობა ცალკე არც ერთ კლინიკას არ მოეპოვება, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ძირითადად ხელმძღვანელობენ რეგულირების სააგენტოს დადგენილებით და ტრენინგებზე მიღებული ინფორმაციით. *შპს "მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმი მედულა" - „ტრენინგის დროს რაც მისცეს იმით ხელმძღვანელობს, ძირთადად დაკვალიანება-გადამისამართბის პროცესებშია, გულწრფელად გითხრა აქტიურად ვინმეს რომ დასჭირვებოდა დახარება, ასე არ ყოფილა ჯერ".*

გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი, როდესაც კლინიკის დირექტორები აღნიშნავდნენ, რომ სამუშაო აღწერილობა არ იყო საჭირო და საერთოდ არ ესაჭიროებოდათ სოციალური მუშაკი. ასევე 11 (8 - თბილისი, 3 - რეგიონი) სამედიცინო დაწესებულების დირექტორს, მენეჯერს, ადმინისტრატორს არ ჰქონდათ ინფორმაცია თუ რა სამუშაოს ასრულებდნენ სოციალური მუშაკები და საერთოდ ჰქონდათ თუ არა სამუშაო აღწერილობა. *შპს "საქართველოს კოლოპროქტოლოგიის ცენტრი" – „ჩვენთან არავინ არავის ჩაგრავს, რეალურად არაა საჭირო აქ სოციალური მუშაკი, სხვაგან - კი“.* ამასთან, 2 კლინიკის შემთხვევაში მთელი, ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ ჩართულა და არც ერთი შემთხვევა არ ჰქონია სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებულ პირს. *შპს "მედინვესტი-ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტი" – „წყნარი ვითარებაა ჩვენთან, ამ მხრივ და რეალურად არ დაგვჭირვებია სოციალური მუშაკის კუთხით ჩემი ჩართულობა“.*

დიაგრამაზე იხილეთ სამუშაო აღწერილობასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია.




## არასამთავრობო ორგანიზაციები

კვლევის ფარგლებში, მაისი-ივნისის თვეში გამოიკითხა 182 არასამთავრობო ორგანიზაცია. მონაცემების შეგროვება მოხდა როგორც სატელეფონო გამოკითხვის საშუალებით, ასევე წერილობითი სახით. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა კოალიციის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კოალიციის, ადრეული განვითარების კოალიციის, ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა კოალიციის წევრებმა, სხვადასხვა ორგანიზაციამ, რომლებიც მუშაობენ როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

გამოკითხული 185 ორგანიზაციიდან 36-ში დასაქმებული არიან სოციალური მუშაკები, 21 ორგანიზაციასთან ვერ მოხერხდა დაკავშრება, 4 მათგანს ოფიციალურად გაეგზავნა წერილი (სოციალურ მუშაკთა გაერთიანება, მშობლების თანადგომა, ასოციაცია "იმედი", დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის) თუმცა ამ დრომდე პასუხი არ დაბრუნებულა, ხოლო 124 ორგანიზაციაში არ არიან დასაქმებულები სოციალური მუშაკები.

35 ორგანიზაციაში დასაქმებულია 161 სოციალური მუშაკი. ამ დროისთვის, სოციალური მუშაკების ყველაზე დიდი დამსაქმებლები არიან საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა" (25), SOS ბავშვთა სოფელი (23), ვორლდ ვიჟენ საქართველო (17), საქართველოს კარიტასი (12).

| | ორგანიზაციის დასახელება | სოციალური მუშაკების რაოდენობა | პროგრამები |
|---|---|---|---|
| 1 | SOS ბავშვთა სოფელი | 23 | ბავშვთა ადრეული |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | განვითარება, ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული ზრუნვა, ახალგაზრდების განვითარების პროგრამა |
| 2 | Word Vision საქართველო | 17 | ბავშვთა დაცვის და ადვოკატირების (2) და მონიტორინგისა და კვლევების განყოფილება (1); კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამა (3); თბილისის სამხარეო განვითარების პროგრამა (1); სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განვითარების პროგრამა (1); იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამა (3); პროექტი „თემის მობილიზაცია და მონაწილეობა (2); მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრები და თავშესაფრები (სამი ცენტრი) (4) |
| 3 | საქართველოს კარიტასი | 12 | ბავშვთა პროგრამის (4), სოციალური დაცვის (4 თბილისი, 1 ქუთაისი), წმ. ბარბარეს სახელობის დედათა და ბავშვთა ცენტრის (1), ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში (2) დასაქმებული |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | სოციალური მუშაკები. |
| 4 | ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი” | 4 | ძალადობის მსხვერპლთა, დედათა და ბავშვთა თავშესაფარში |
| 5 | საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“ | 25 | 1. „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“; 2. აივ პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში (კომერციული სექს-მუშაკი ქალები, მამაკაცები რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან). |
| 6 | UNICEF საქართველო | 1 | სოციალური სერვისების ოფიცერი |
| 7 | საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი | 3 | სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამა |
| 8 | ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი -WISG | 2 | ორგანიზაციის სათემო მიმართულება |
| 9 | წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი | 5 | არ მოუწოდებია ინფორმაცია |
| 10 | ბავშვი და გარემო | 3 | დღის ცენტრის პროგრამა |
| 11 | ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის | 4 | სხვადასხვა სახის პროექტები |
| 12 | იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა | 4 | შინმოვლის პროგრამა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 | სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი CSDC | 5 | ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა მიუსაფარი ბავშვებისთვის |
| 14 | ერთად რეალური ცვლილებებისთვის | 2 | დღის ცენტრის პროგრამა |
| 15 | მუნიციპალიტეტის თავშესაფარი | 4 | თავშესაფრის და სოციალური საცხოვრისის პროგრამა |
| 16 | ვალდორფის სკოლა/ბაღი | 1 | ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა |
| 17 | ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი | 1 | SOS- პროგრამის ფარგლებში, ოჯახის გაძლიერების მიმართულებით |
| 18 | საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი | 1 | ბავშვებთან სატელეფონო კონსულტაციები და მართლმსაჯულების სფერო |
| 19 | მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების ასოციაცია | 9 | ალტერნატიული ზრუნვა (2 სოციალური მუშაკი), ახალგაზრდული პროგრამა(1), ოჯახის გაძლიერების პროგრამა(5), თავშესაფარი(1) |
| 20 | საზოგადოება ბილიკი | 2 | 3 მცირე საოჯახო, 2 დღის ცენტრი (მიტოვების რისკის), დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, ადრეული განვითარების პროგრამა 0-7 წლამდე, რეაბილიტაცია-აბილიტაცია |
| 21 | ააიპ საფარი | 2 | ცალკეული პროგრამა არაა მითითებული |

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 | ასოციაცია სოციალური ქოლგა | 1 | ცალკეული პროგრამა არაა მითითებული |
| 23 | კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის | 3 | სოციალური პროგრამები, სახელმწიფო პროგრამები |
| 24 | ფონდი აურესი | 1 | სმენის სირთულეების მქონე ადამიანებთან მუშაობა, მუშაობს ადვოკატირების მიმართულებით. |
| 25 | ათინათი | 4 | ახალგაზრდული მიმართულების პროგრამა |
| 26 | კულტურულ -ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ | 1 | ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობის მიმართულება |
| 27 | ინვალიდთა ინტეგრაციისა და ხელოვნების განვითარების ასოციაცია „ჰანგი“ | 1 | შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხები |
| 28 | რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი „თანაზიარი" | 2 | შშმ პირთა რეაბილიტაციის, ინფორმაციის მოკვლევის მიმართულებით |
| 29 | ახალგაზრდული ხედვა კახეთი | 2 | „ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება, გურიასა და კახეთის რეგიონში სოციალურ-ეკონომიკურად დაუცველი ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებების გაუმჯობესება“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 | თანადგომა შვილებს | 1 | შშმ პირთა სოციალური განვითარების პროგრამა |
| 31 | კამილიელთა სამედიცინო ცენტრი | 2 | არაა მითითებული |
| 32 | ინვალიდ ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა “ნერგები” | 1 | 2 დღის ცენტრი, 1 ადრეული განვითარების ცენტრი |
| 33 | ასოციაცია "მერკური" | 1 | ძალადობის მსხვერპლ ქალთა დ ბავშვთა თავშესაფარი; ოჯახის მხარდაჭერის ცენტრი |
| 34 | თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის და ადვოკატირების ინსტიტუტი | 2 | არაა მითითებული |
| | | | |
| 35 | საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია | 6 | |
| 36 | თანასწორობის მოძრაობა | 3 | |

## არასამთავრობო ორგანიზაციაში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა რეგიონების და რაიონების მიხედვით

ორგანიზაციებს, როლებშიც დასაქმებულნი არიან სოციალური მუშაკები, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შევხვდებით. თუმცა თითოეული მათგანი ძირითადად ერთ რეგიონში ახორციელებს საქმიანობას. ამასთან, არიან ისეთი დიდი ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა მხარეში აწვდიან სამიზნე ჯგუფს მომსახურებას. მაგალითად, SOS ბავშვთა სოფელი მომსახურებას წევს თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში. საქართველოს კარიტასი - თბილისში, რუსთავში, ქუთაისში. საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“ - თბილისი,აჭარა - ბათუმი, იმერეთი - ქუთაისი, კახეთი - თელავი, სამეგრელო - ზუგდიდი. ცხრილში ნაჩვენებია ის ორგანიზაციები, რომლებიც რამდენიმე რეგიონში აწვდიან მომსახურებას სერვისის მიმღებებს.

<table>
<tr><td></td><td>ორგანიზაციის დასახელება</td><td colspan="6">პროგრამა</td></tr>
<tr><td></td><td></td><td colspan="6">რეგიონების და რაიონების მიხედვით</td></tr>
<tr><td rowspan="3">1</td><td rowspan="3">SOS ბავშვთა სოფლი</td><td>ბავშვთა ადრეული განვითარება, ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული ზრუნვა, ახალგაზრდების განვითარების პროგრამა</td><td colspan="3">ბავშვთა ადრეული განვითარება, ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული ზრუნვა, ახალგაზრდების განვითარების პროგრამა</td><td colspan="2">ოჯახის გაძლიერების პროექტი</td></tr>
<tr><td>თბილისი</td><td colspan="3">ქუთაისი</td><td colspan="2">ზუგდიდი</td></tr>
<tr><td>13</td><td colspan="3">6</td><td colspan="2">4</td></tr>
<tr><td rowspan="2">2</td><td rowspan="2">Word Vision საქართველო</td><td colspan="2">თბილისი</td><td colspan="2">იმერეთი (ბაღდათი, ქუთაისი, ზესტაფონი)</td><td>სამცხე-ჯავახეთი( ახალხიხე, ადიგენი)</td><td>კახეთი (ყვარელი, თელავი, გურჯაანი)</td></tr>
<tr><td colspan="2">8</td><td colspan="2">5</td><td>1</td><td>3</td></tr>
<tr><td rowspan="2">3</td><td rowspan="2">საქართველოს კარიტასი</td><td>საქართველოს კარიტასის ბავშვთა პროგრამის სოციალური მუშაკები:</td><td colspan="2">საქართველოს კარიტასის სოციალური დაცვის პროგრამის სოციალური მუშაკები:</td><td>საქართველოს კარიტასის სოციალური დაცვის პროგრამის სოციალური მუშაკები</td><td>საქართველოს კარიტასის წმ. ბარბარეს სახელობის დედათა და ბავშვთა ცენტრი</td><td>ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში დასაქმებული სოციალური მუშაკების სიას.</td></tr>
